



ს.ს.ი.პ. საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №145

ქ. თბილისი

15 მარტი 2018 წელი

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (ქვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის მოადგილის ვარლამ ავალიშვილის მიერ წარმოდგენილი იქნა 2018 წლის 09 მარტის N270961 სამსახურებრივი ბარათი, რომლის თანახმად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან შემოსული ა/წ პირველი თებერვლის №103556 წერილის საფუძველზე სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროფესიული მასწავლებლების ჩართულობით შემუშავდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (ქვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგია. შესაბამისად ითხოვს კოლეჯში პროგრამების მიხედვით მისაღები კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის (ქვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცებას დანართის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ წესდების მე-5 მუხლის „ე“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (ქვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგია N1 დანართის შესაბამისად.
2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს კოლეჯის საქმის მწარმოებელს ინა ქვრივიშვილს.
3. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მის. ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52) და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კოლეგიაში (მისამართი დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

კოლეჯის დირექტორი

A handwritten signature in blue ink is written over a circular official stamp. The stamp contains text in Georgian, including 'საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო' (Ministry of Education and Science of Georgia) and 'თბილისის საქალაქო სასამართლო' (Municipal Court of Tbilisi). The signature is a stylized, cursive script.

როინ ტაკიძე